| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდღეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას 5 აპრილს.

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 8 აპრილს,

ქართული დრამატიული არტისტები გამართვენ ქართულ დასის სუფლიორის სასარგებლოდ:

I

**ქინტო**

კომედია ხამს მოქმედებად, თხზ. თ. ა. წერეთლისა.

II

თამარ-ცბიერი

დრამატიული პოემა 4 მოქმედებად თხზ. აკაკისა. წარმოდგენილი იქნება მეორე მოქმედება.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ანდრონიკოვისა, თამაროვისა, მელიქოვისა ბბ. ალექ.-მესხიევი, ცაგარელი, მძინაროვი, ტყვიაველი, საფაროვი, გეთაშვილი და სხვ.

წარმოდგენის შემდეგ იქნება ლეკური.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 1 აპრილი

ჩვენ გავსინჯეთ სამი ევროპიული სისტემა ღვინის კეთებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ღვინის შეზავებისა განგებ ჩამატებულის წყლით, შაქრით და ალკოგოლითა. ეს სამი სისტემა მით არის შესანიშნავი, რომ ამის მომხრენი უარ-ჰყოფენ ამ შეზავებით ღვინის ბუნების გარდაქმნასა იმ საბუთით, რომ წყალი, შაქარი და ალკოგოლი ბუნებური კუთვნილებაა ღვინისა,—და მაშასადამე ამაების ჩამატება, ღვინისათვის უცხო რამის ჩამატება არ არისო. ჩვენა ვნახეთ, ყოველივე ეს რამოდენად ჰვნებს თვითონ ღვინოსა და ამ ცოტად თუ ბევრად მარგებელს სასმელს ეს „ბუნებური კუთვნილებანი ღვინისა“ რამოდენად სცვლიან სავნებელად ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წყალსა, შაქარსა და ალკოგოლის გარდა კიდევ რამდენი სხვა საგანი და ნივთიერებაა, რომელთაც ევროპიელნი ჰხმარობენ ღვინოში სხვა-და-სხვა აზრით. თუ ისინიც კი, რომელნიც „ბუნებურ კუთვნილებად“ არიან ცნობილნი, ახდენენ ღვინოსა,—რაღა უნდა ითქვას იმ საგნებზედ, რომელნიც ამ ბუნებურობასაც მოკლებულნი არიან?

ჩვენა ვსთქვით, რომ გალლიზაცია შაქარ-წყალს უმატებს ღვინოში, თუ ყურძნის წვენს ცოტა სიტკბო აქვს და ბევრი სიმჟავე. ამ შაქარ წყლით ღვინოს სიტკბო ემატება და სიმჟავე თუმცა იმოდენადვე ჰრჩება ყურძნის წვენში, მაგრამ სიტკბოს მომატებით სიმჟავე თავის ძალას აღარ იჩენს. ხოლო არის მეორე სისტემაც, რომელსაც სახეში აქვს თვითონ სიმჟავე პირ-და-პირ დააკლოს, გამოჰზიდოს ყურძნის წვენისაგან. ამ სისტემას შაპტალიზაციას ეძახიან, რადგანაც იგი მოიგონა ყოფილმა საფრანგეთის მინისტრმა შაპტალმა. ამ სისტემაზედ გაკვრით ერთს წინა წერილშიაც მოვიხსენიეთ, ხოლო აქ პატარა ვრცლად ვიტყვით.

აი რაში მდგომარეობს ეს სისტემა: რა წამსაც სადუღარად მოჰყრიან ყურძნის წვენს, შიგ ჩააყრიან ან ფხვნილს თაბაშირს (გიპსი), ან ფხვნილს მარმარილოს. თაბაშირს ის თვისება აქვს, რომ წვენის დუღილის დროს გაიხსნება, ამადუღებელს ნაწევარს გააუქმებს და ამის გამო ღვინო მალე დაიწმინდება ხოლმე. ეს სისტემა ძალიან გავრცელებულია სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა, იტალიაში და სხვაგანაც. ამ თაბაშირის ჩამატებაზედ დაფუძნებულია შაპტალიზაციაც. ფხვნილი მარმარილო, თუ თაბაშირი იზიდავს, ისვამს სიმჟავესა, ძირს მიდის და ილექება. ხოლო იმისათვის, რომ დუღილი არ დადგეს, შაპტალი შაქარსაც უმატებს; შაქარი აძლიერებს დუღილსა და ჰმატებს ღვინოს ალკოგოლსა. ამ გზით თაბაშირსა, თუ მარმარილოს ეკარგება ის თვისება, რომლის ძალითაც დუღილს შეაკავებს ხოლმე და სიმჟავის გამოკლების თვისება-ღა ჰრჩება. აი რა წუნი სდევს ამ სისტემასა. რაც უნდა თაბაშირმა, ანუ მარმარილომ მიიზიდოს და შეისვას სიმჟავე და მას მერმედ ძირს დაილექოს, ღვინოში მაინც ჰრჩება მისგან სხვა-და-სხვა კირეული ნაწევარები, მარილები ან გახსნილი ღვინოში, ან მეხანურად შეერთებული და ეს მარილები მაწყინარნი არიან, ცუდს გემოს აძლევენ ღვინოს და ყოველივე ეს ძალიან ძნელი გამოსაცლელია ღვინისაგან [1]). ამიტომაც საფრანგეთში იქაურ სამხედრო სამინისტროსაგან აკრძალულია შაპტალიზაციით ნაკეთები ღვინო იხმარონ სამკურნალოებში, თუ ერთს ლიტრს [2]) ღვინოში ეს თაბაშირი ორს გრამმზედ [3]) მეტი აღმოჩნდა და ამისთანა ღვინოს არც ერთს სამკურნალოში არა ხმარობენ. შაქრის ჩამატების ამბავი ხომ ვიცით. ყოველივე ეს რომ სახეში ვიქონიოთ, აშკარად დავინახავთ რა სიკეთესა სძენს ეს შაპტალიზაცია ღვინოსა.

## ახალი ამბავი

*** 5-ს აპრილს, აღდგომა დღეს, უსრულდება სამოც-და-ხუთმეტის წლის დღეობა ერთს ჩვენს უხუცესსა, ტკბილსა და საყვარელს პოეტს თ. ვახტანგ ვახტანგის-ძეს ორბელიანს. ყველა განათლებულმა და ჩვენის ლიტერატურის მცოდნე ქართველმა იცის, რომ მისი სახელი ბრწყინვალე შარავანდედით მოსილია ჩვენთა უკეთესთა პოეტთა შორის და ამიტომაც ამ დღის გახსენება ჩვენთვის არამც თუ მეტი, არამედ სავალდებულოა.

*** ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ 30 მარტს მტკვარში დაირჩო ერთი აისორი თულუხჩიო. იმავე დღეს, დილის ათსა თუ 11 საათზე დაირჩო მტკვარში მეორე თულუხჩი, რომელიც მტკვრის ნაპირას წყალს იღებდა და წყალში ჩავარდა. საცოდავი თულუხჩი კუკიის ხიდისკენ გაიტანა წყალმა. აქ მოეჭიდა თოკს, რომელიც ბურჯის რგოლებს აქვს გამობმული, მაგრამ თოკი გაწყდა; მერე თვით რგოლს მოჰკიდა ხელი; ზემოდამ ჩაუშვეს თოკები, რომელსაც თულუხჩიმ, როგორც იყო, წაავლო ხელი და ამოსწიეს. თითქმის ამოყვანას აღარა უკლდა-რა, უცებ თულუხჩის შიშისა და სიცივისაგან ათრთოლებული ხელები გაეშვა და ჩავარდა კვლავ წყალში. თულუხჩის თვალი ველარ მოჰკრეს, ისე კვალ-წმინდად დაიღუპა.

*** დოლლაურის ხიდი ჩვენის რკინის გზისა ქარელსა და გომს შუა ძალიან დაზიანებულა, მატარებელი და ვაგონები ზედ ველარ სდგებიან. ერთის მხრიდამ მომავალი ხალხი ფეხით გამოდის ხიდზე და მეორე ყურთან სხვა მატარებელსა და ვაგონებს მოჰყავს ხალხი. ბარგის და საქონელის ზიდვა შეწყვეტილია. ასე იყო გუშინწინ; 1 აპრილიდამ-კი, როგორც აცხადებს რკინის გზის გამგეობა, სულ შეწყვეტილა მატარებლის სიარული ქარელსა და გომს შუა.

*** გუშინ-წინდელის მატარებელით ჩამოსულებმა ზემო-მხრიდამ, ქართლიდამა და იმერეთიდამ, გვიამბეს, რომ მტკვარი ძალიან მოვარდნილია და არე-მარე სულ ხელთ უჭირავსო. ქარელსა და ბებნისს შუა მუშაობდა ბორანი, რომელიც დიდს სარგებლობასა და შეღავათს აძლევდა ხალხსა.

[1]) ტარდანი 178 გვერდი.

[2]) ლიტრი—ფრანგული საწყაოა ჩვენებურად თითქმის ორ-ბოთლ-ნახევარი.

[3]) გრამმი=1/4 მისხლისა.

# ფელეტონი

### არწივი

არწივი ენახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს აღგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,—
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ენახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ვაჟა-ფშაველა

### გზა-გზა

(ვაგონში გაგონილი და ნანახი)

— მიბძანდით, ბატონებო, ვაგონებში, მიბძანდით! აგერ მესამეჯერ დარეკეს ზარი!—ყვირის კონდუქტორი და დაფაცურობს ვაგონების წინა. მგზავრები მირბი-მორბიან; ერთმანერთს აღარ აცლიან ვაგონში შესვლასა.

— სად მიბრძანდებით? ეკითხებით ნაცნობსა.

— ტფილისში, აბა მაშ სად წაველ,

— თქვენ, ბატონო?

— მეც ტფილისში.

— ოო, ჩემო დავით! საით, საით?

— ქალაქისკენ, ცოტაოდე საქმე მაქვს,—გეუბნება კნიაზი დავითიც.

ყოველის კუთხიდამ, ყოველის კაცისაგან გესმით მოკლედ მოწყვეტილი პასუხი: „ტფილისში, ქალაქში.“ გასაკვირველიც არ არის! ყოველს ქვეყანაში, ყოველს მხარეში არის იმისთანა კუთხე, იმისთანა ადგილი, რომელიც იმ ქვეყნის, ანუ მხარის კუჭია და რომელიც იზიდავს თავისკენ ხალხსა: რუსეთში პეტრეს ქალაქია, ინგლისში—ლონდონი, საფრანგეთში—პარიჟია; ჩვენში—ტფილისი.

რად ეტანება ხალხი ამისთანა ქალაქებსა? «ჩინოსანს» წინა-კაცად „კაკა“ გაუმგზავრებია და ეხლა თვით მიბძანდება, რომ იქნება თავის საბინაო ადგილი გამოიგდოს, და ამიტომ მოდის. მასწავლებელი მიეშურება, რათა გამოუცხადოს თავის უფროსსა და დაანახვოს ზემო სართულზე დაკრული «კოკარდა»; ვაჭარს „კავკაზში“,—განცხადებათა და დაფუცუნებულ ჩინოსანთა გაზეთში,—ამოუკითხავს რაღაც „ფოდრათი“, მიჩანჩალებს ტუჩების კვნეტით, ულევაშის გრეხით, რომ კლანჭი გამოჰკრას რასმე. ზოგი მიდის «საკლიაუზნიკოდ», ზოგი საქეიფოდ; იქნება საქეიფო დახლიც არა აქვს ჯიბეში, მაგრამ ერთს მაინც ხომ ჩაიწმაწნება გოლოვინის-პროსპექტზედ და მტვერს ჩაჰყლაპავს.

ქეიფობაზე სიტყვის ჩამოგდებამ ერთი ამბავი მომაგონა: სააღდგომოდ ბატონს მოჯამაგირე ეთხოვებოდა სახლში; ბატონი უარზე იდგა.

— შენის მუხლების ჭირიმე, უნდა სახლში გამიშვა; პაემანს დაგიდებ და თუ გადავიდე, ერთი სამი თთვე მუქთად მიმსახურე ყაულ-გარეითადა... ერთი ორი შაურიც მიბოძე, შენი ჭირიმე.

— ორი შაური რაღაა? რად გინდა?

— უნდა ვიქეიფო.

— ორის შაურით რა უნდა გააწყო, ჰა, შიო?

— რატომ არა! ერთის შაურისას ღორის ლურთს ვიყიდი და ერთის შაურისას კაი მაგარ პირტს დავლევ, უპასუხა შიომ.

შიო-ბიჭისა არ იყოს, ჩვენი ადრეულად შემოსული, შეუმწიფებელი „კნიაზები“ ორის შაურით გაიქეიფებენ.

ზოგიც საკეკლავოდ მოდის; ქალაქი ოხერი ადგილია; ფული ბევრი წევს; მექაბის ქალი გინდა, დაბლისა, მწითლავისა, თუ მლილავისა, ნალბანდისა, თუ მეხაშისა—ყველას „კნეინობა“ უნდა; „მე მინდა კნეინა გავხდე“ ყველას ტუჩზე აკერია... ზოგი გასართობად მოდის; მაგრამ ამ „ზოგმა“ საქმე გააჭირა...

* * *

მესამე კლასის ვაგონში ფანჯარასთან მოიკალათა ვიღაც უცნობმა, რომელიც უშნოდ იყო აწოწვილი, გამხმარი, ულაზათო, გაუჩორკნავი; თავი სწორედ გამხმარს, უკაცრაული პასუხია,—სანაგვეზედ გადაგდებულს ცხენის თავს უგავდა; ტუჩები ვიწრო და თხელი, ზედ ნაკრეჭის ულვაშით; ტუჩები კბილებს ვერა სწვდებოდა, რომ დაეფარნა და ამიტომ მსხვილი, დახავსებული კბილები მუდამ მკვდარ ცხენივით დაღრეჭილი ჰქონდა.

„კარგი რომ ზაფხული არ არის, თორემ შენი მტერი ჩვენი საქმე იქნებოდა“, გაიხუმრა ერთმა,—ბუზი დაეხვეოდა ამ დაღრეჭილს კბილებს, და აგეიკლებდა, როგორც ყვავილს ფუტკარიო.

ეს «ცხენის-თავა», როგორც ეტყობოდა, „ხარისხიანი.“ იყო. ნიშანი ქუდის ზემო-სართულზე ყალხზე შაეყენებინა; არ ვიცი ამ ნიშანს არ მოსწონდა „ცხენის-თავის“ თავზე ყოფნა და გასაქცევად ემზადებოდა, თუ „ცხენის თავას“ თვით ეუცხოვებოდა და ნიშანი თვალთაგან მოეშორებინა. მაგრამ არა, ის ისე ეარშიყებოდა ნიშანს, როგორც ახლად შეყვარებულნი მიჯნურნი ერთმანერთსა. მალ-მალ მოიხდიდა ქუდსა და ხელს უსვამდა, ჰფერავდა ნიშანსა. უცნობი მომიჯდა გვერდზედ და ლაპარაკი გამიბა.

— საკვირველია, ყმაწვილო, რომ ამდენი ხანი აქაურობა ვერ შევაჩვიეთ ცივილიზაციას,—ამ სიტყვას განსაკუთრებითის ხმის დარტყმით ამბობდა.

დაიწყო თუ არა ამ უცნაურმა კაცმა ლაპარაკი, ახლო-მახლო მსხდომთ კისრები წამოიგძელეს და სმენად გარდაიქცნენ.

„— აბა სადაური რა არის? ჩაუცვამთ რაღაც გძელ-გძელი პანკელები, ზედ ჩემოტელა ხანჯალი ჩამოუკიდნიათ. Это просто чортъ знаетъ что-съ... საზარელია მათი ცქერა.

— რუსული ანდაზა ხომ მოგეხსენებათ, ვუპასუხე მე, ზოგს ხუცესი მოსწონს, ზოგს ხუცის ცო-

ეს ბორანი მტკვარს მოუგლეჯია და გორამდე ჩამოუტანია. სოფ. სკრას ახლო იყო ხის ხიდი გზა-ტკეცილისა. ეს ხიდი ისე დაძველებულია ამ ჟამად, რომ ძლივს-ღა ფამფალებს. სულ ოთხი ფიცარი-ღაა გადებული და ამ ოთხს ფიცარზე უნდა გაიაროს კაცმა. ბეწვის ხიდზედ უარესია ეს ხიდიო.

*** შარშან გაზაფხულს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი შენიშვნა იმ ჭიის თაობაზედ, რომელიც ხაშმში გამოჩნდა და ხე-ხილსა სჭამდა. ეს ჭია ორ გვარი იყოვო, გვწერდნენ მაშინ ჩვენ. ამ ჭიის გამო საფრანგეთიდამ მოგვივიდა წერილი მონპელიელ მოსწავლე ქართველთაგან და გვთხოვდნენ, დაწვრილებით აგვეწერა ამ ჭიის გარეგნობა და ამ თხოვნას ჩვენდა ახლო ხანში შევასრულებთ. ახლა ჩვენ მოგვივიდა პატარა ქილით ხაშმიდამ ორივე გვარის ჭიები, რომელსაც გავუგზავნით გამოსაკვლევად მონპელიეში და მოსკოვში პროფესორს ლინდემანს.

*** თელავში განუზრახავთ იქაურს ნაცნობთა და მეგობრებს განსვენებულის იოსებ დავითაშვილისას მის საფლავს ქვა დაადონ. მეორმოცე დღეს გარდაცვალების შემდეგ იგივე მცნობნი და მეგობარნი მიცვალებულისა გადიხდიან პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლადაო.

*** გორიდამ გვწერენ: „ქალაქის გამგეობა, თვით ქალაქის მცხოვრებელნი და ყველა ისინი, ვისიც ვალია, რომ ქალაქს ყური უგდონ, არაფერს არა ჰზრუნავენ ქალაქის მოვლაზე, გამაგრებაზე და სხ. და სხვანი. დღეს გორი დასავლეთისა და სამხრეთის მხრივ წყალში სდგას; დასავლეთის მხრიდამ ლიახვი ჩამოუდის; თუმცა წარსულს წლებში გაამაგრეს კიდე ამ მდინარისა, მაგრამ წელს ისევ მოგლიჯა და ძველი ადგილი მოსძებნა. მინამ წყალი მოვარდებოდა ასეთს ზარალს მისცემდა ქალაქსა, არავინ შეიტკივა თავი; როცა სააზნაურო ქუჩაზე ლიახვმა დაგლიჯა სახლები, მიეცა ქალაქის ბალსა და გვერდი ჩამოაცალა, წაიღო ქალაქის გამგეობისაგან აშენებული საყასბოები, მოჰგლიჯა ქვის ბურჯი ძველის ხიდისა და წყალმა სამხრეთის მხრიდამ შემოურბინა რკინის ხიდსა,— მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ და დაიწყეს თავში ცემა, მაგრამ გვიანღა იყო: აღელვებულს წყალს ვიღა შეიმაგრებდა. ხალხი თამამად გამოდის და თითქოს სტკბება, რომ წყალი აოხრებს ქალაქის საუკეთესო ადგილებსა.

*** გორიდამვე გვატყობინებენ: „ზოგიერთი ვაჟ-ბატონები უხვდებიან შეშის ურმებს, გლეხებს ეჩხუბებიან, შუა ქუჩაში უსირცხვილოდ არბევენ და სტანჯავენ. ამას წინად, ე. ი. ამ დიდმარხვის მეექვსე კვირაში, გორიჯვრელს გლეხს დაუხვდნენ თურმე ვიღაც ვაჟ-ბატონები, ართმევდნენ ურემს და ეუბნებოდნენ: შეშა ჩვენია, ჩვენის ტყიდამ გამოგიტანიაო. მოჩხუბარი იყო კავთისხეველი და გლეხი-კი—გორი-ჯვრელი; ამ ორს სოფელს შუა კიდევ იქნება ოც-და-თორმეტი ვერსი; მეორეც ესა, გორი-ჯვარი საეკკლესიო მამულია და საიდამ-სად წაედევნენ საბრალო გლეხსა. რასაკვირველია, იმ განზრახვით მოექცნენ ასე, რომ გლეხი ხომ გაუგებარია, შეეშინდება და შეშას თავს დაანებებსო. გლეხის ბედზე ქუჩაში ამ გმირებს წამოსწრობოდა ერთი აქაური მასწავლებელი და იმას დაეხსნა საბრალო მტაცებელთაგან.

*** იქიდამვე გვწერენ: „მარტის 25-ს გორის ქალების პროგიმნაზიაში იყო «სალიტერატურო დილა». წაიკითხეს ქართულად, სომხურად და რუსულად ლექსები, იყო აგრეთვე სიმღერები ამავე ენებზედ. ქართულად ექვსი ლექსი წაიკითხეს. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ნინო ბურჯანაძისამ, რომელმაც საუცხოვოდ წაიკითხა გრ. ორბელიანის ლექსი «განთიადი». საგანგებოდ იგალობეს ქართულად „არაგვე“ ნ. ბარათაშვილისა. ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებულს „სალიტერატურო დილაზე“ ქართველმა მოსწავლე ქალებმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, როგორც ქართულს ენაზე კითხვა-გალობითა, აგრეთვე რუსულზედაცა.

---

## მთავრობის განკარგულება.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან:

28 მაისს 1886 წელსა უმაღლესად ნაბძანებია, რომ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში შემოღებულ იქმნას სამხედრო ბეგარა. ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შემდეგი შეღავათი მიანიჭა აქაურს ერსა:

1) ახლად გამოყვანილ ჯარის-კაცებისაგან, სამხედრო სამინისტროს სურვილისამებრ, ცალკე ჯარები იქმნება შემდგარი და ეს ჯარები აქვე, კავკასიაში, იქნებიან დაყენებულნი.

2) იმათთვის, ვისაც ჯარში გამოსვლა წილის ყრით ერგება, ჯარში სამსახურის ვადა **სამის წლით** იქნება, ჯერ ვიდრე ახალი რამ განკარგულება არ მოხდება,—და სამის წლის შემდეგ შინ დაბრუნდება და მხოლოდ შინად-მყოფს (запасный) ჯარებში იქნება ჩათვლილი **თორმეტის წლის** ვადითა.

3) ჯარში გამოყვანილი კაცი, სოფლებიდგან თუ ქალაქებიდგან,—იმათ გარდა, რომელნიც თავის ნებით წავლენ ჯარში,—აგრეთვე სახლობა თუ კომლი, საიდგანაც ჯარის კაცი იქნება გამოყვანილი, განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველ გვარ სახელმწიფო, საერო და საზოგადო ფულის გარდასახადისაგან. გარდა ამისა, თვით ჯარში გასულნი კაცნი, ვიდრე სამსახურში იქნებიან, არავითარს ბეგარას არ გადაიხდიან.

ჯარის მოსაკრებად ამ 1887 წელსა ტფილისში ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი იქნება **სიები** და ამ სიაში ჩაწერილი იქნება ყველა, ვინც 1886 წელს **ოცის წლისა** შესრულებულა. ეს სიები **1-ლ აპრილიდგან 15-მდე** გამოკიდული იქნება ქალაქის გამგეობის სადგურში და ყველას ნება ეძლევა გამოაცხადოს, თუ სიებში რაიმე შეცდომა ან ნაკლი შეჰნიშნა. ყველა ამისთანა განცხადება ჩაწერილი იქნება ცალკე წიგნში, გაჰსინჯავენ შეიდის დღის განმავლობაში, შეამოწმებენ საბუთის ქაღალდებს, გამოიკითხავენ საქმესა და, თუ მართლა აღმოჩნდა შეცდომა, გაასწორებენ.

გარდა ამისა, ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვინც სრულ-წლოვანი გამხდარა ჯარში გამოსაყვანად, **სიებში** არ იქნება ჩაწერილი და წილის ყრის დროს არ გამოაცხადებს ამასა, მაშინ წილ უყრელად იქნება ჯარში ჩარიცხული, თუ სამსახურისთვის გამოდგება.

სამხედრო ბეგარის წესდებულებაში სამ რიგი შეღავათია დადგენილი:

**პირველი რიგი:** ა) თუ სახლში ერთად ერთი მუშა შვილია და ან მამა ჰყავს, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლიან, ან ქვრივი-დედა; ბ) თუ ერთად ერთი ძმაა, რომელსაც შესანახავი ჰყავს ობლები, დები თუ ძმები; გ) თუ სახლში ერთად ერთი შვილიშვილია, პაპა და დიდი-დედა, რომელთაც მუშა შვილი არა ჰყავთ; დ) თუ სახლობაში ერთად-ერთი შვილია, თუნდ მამაცა ჰყავნდეს, რომელსაც მუშაობა შეუძლიან და ე) უკანონო შვილები, თუ ამათ შესანახი ჰყავთ: დედა, რომელსაც სხვა მუშა შვილები არა ჰყავს, ან და, ან ძმა, რომელსაც მუშაობა არ შეუძლიან. ამიერ-კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთა, გარდა რუსებისა, პირველის რიგის შეღავათი ეძლევათ კიდევ: ა) სიძეს, თუ სიმამრთან, რომელსაც მუშაობა არ შეუძლიან, ან ქვრივ-სიდედრთან, ერთად ცხოვრობს და ბ) მარტო ხელს კაცსა.

**მეორე რიგი:** თუ სახლში ერთადერთი მუშა შვილია და მუშა მამაცა ჰყავს, მაგრამ ამასთან ერთი ან რამდენიმე ძმაცა ჰყავს, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიანთ.

**მესამე რიგი:** იმის მომდევარი ძმა, რომელიც უკვე ჯარში ითვლება, ან ჯარში სამსახურის დროს გარდაცვლილა, ან ომის დროს დაკარგულა და იმის ამბავი ველარ შეუტყვიათ.

ის, ვისაც ზემოხსენებული საბუთი აქვს შეღავათისა, ჯარში წაიყვანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ვინიცობაა, ჯარების შესავსებლად არ ჰყოფნის ის რიცხვი, რომელიც წილს იყრის. ისინი, ვისაც **პირველ რიგის** შეღავათი ეძლევათ, ჯარის კაცად მაშინ იქნებიან გამოყვანილნი, როდესაც, სამხედრო სამინისტროს მოთხოვნილებით, ცალკე განკარგულება მოხდება სახელმწიფო რჩევისა და უმაღლესად დამტკიცებული იქნება.

ჯარების მოწვევის **სიების** გასინჯვის დროს, ყურადღება უნდა იყოს მიქცეული შემდეგზე:

ა) ყველა ოჯახის წევრი, ვინც ცოცხალია, ჩაწერილია სიაში თუ არა; ბ) სწორედ არის ნაჩვენები იმათი წლოვანობა, თუ არა; გ) სიებში ხომ არ არიან მოკვდულნი ან მკვდრები, ან ისინი, ვინც ოჯახს არ ეკუთვნიან; დ) ნაჩვენებია თუ არა სიებში, ვის არ შეუძლიან მუშაობა ავად-მყოფობისა და დაშავებულობის გამო; ე) სასამართლოსაგან დასჯილნი და სადმე გაგზავნილნი; ვ) ვინც სამს წელიწადზე მეტს ხანს სადმე გადაკარგულნი არიან; ზ) ჯარის-კაცად ხომ არ არიან კიდეც გასულნი.

ვინც ჯარში არ წასვლისათვის ან იმის გამო, რომ ჯარში ყოფნის დროს დაიჩემოს შეღავათი, რომელიც მას არ ეკუთვნის, და ყოველ ამისათვის რაიმე ტყუილებს ჩაიდენს, ან მოატყუებს მთავრობას, ის კანონით დასჯილი იქნება და სამიდგან ოთხს თთვემდე ციხეში დაიმწყვდევა.

უმაღლესს და შუა სასწავლებლის მოსწავლეთ, თუ წილში ჯარში წასვლა ერგოთ, დრო ეძლევათ, ვიდრე სწავლას გაათავებენ. ყველა მოსწავლეთ ნება აქეთ 15 აგვისტომდე 1887 წლისა გამოაცხადონ, რომ სურვილი გვაქვს ნება-ყოფლობით წავიდეთ ჯარ-

---

ლიო. მაგათ ეგეთი ჩაცმა მოსწონთ; თქვენ—ევროპიული. რა გასაკიცხია; ცივილიზაცია მარტო გარეგნობით როდი გამოიხატება; ცივილიზაციამ ადამიანის სულსა და გულში უნდა ჩაანათოს, ჩააწვეთოს მაცხოველებელი სხივები; უნდა სული და გული გაუნათლოს ადამიანს; ცივილიზაცია ადამიანის სულისა და გულის ზიარებაა და არა მისის გარეგანის კანისა; იგი უნდა გახდეს მის სისხლხორცად. შეიძლება მე ტანისამოსი საუკეთესო მოდისა მეცვას, საიასალო ფარჩეულობისა, მაგრამ გული და სული კი მყრალი, ბოროტი, ადამიანთა საკლავად გამზადებული მქონდეს. აბა თქვენგან არ მიკვირს, ტანისამოსს რა ჭკუა აქვს.

—„ბატონო, შენ ისტორია არა გცოდნია, არა; ჯერ გარეგანმა კანმა უნდა იგრძნოს და მიიღოს. სული და გული, რომელსაც შენ აგრე ჩააჟინდი, მერე თავის-თავად განათლდება. განა გარედ რო სინათლეა, შიგნით ვერ შემოატანს ხოლმე!? მაშ შენი მტერი, სახლებში სულ უკუნა იქნებოდა, რომ მზეს სინათლე არ შემოჰქონდეს.

—ხე, ხე, ხე! ჩაეცინე და ჩემს ხმას მაცქერალთა ხარხარი ზედ დაერთო.

„—თქვენ გეცინებათ, მაგრამ ასე კია საქმე... ჰო, ან რა საჭიროა მათი განათლება, იმ შენგან შეყვარებულის სულისა და გულისა. რომ დაგარწმუნოთ, მე უფრო თვალ-საჩინოდ აგიხსნით: წარმოიდგინეთ, რომ მე ავიღე ერთი უდაბური ადგილი, აი თუნდა აფრიკის რომელიმე მხარე, თუნდა ერთი რომელიმე პატარა კუნძული; მე მაშინვე ხალხს ევროპიულად ჩავაცმევ, ეს არის — გათავდა! აი ესეც შენი ცივილიზაცია! მწაჰ!.. სთქვა და ჩაიწუწნა ტუჩები „ცხენის თავამ“.

— რად მიბრძანდებით ტფილისში? —ვკითხე მე, სიტყვა ბანზე ავუგდე, რომ გაეთავებინა ეს მოსაწყენი ქადაგება.

„— წარმოიდგინეთ, ამ სააღდგომოდ მოველოდი შემდეგს ჩინსა; у меня старшинство ужъ съ 1882 года; ყველას გამოუვიდათ და მე კი რიყეზე დამსვეს; გულის ძგერით ველოდი არა თუ მარტო მე, ჩემი სახლობაცა. ხუმრობაა, ბატონო! ახალი ზიზილპიპილა; ახალი ცხოვრება; მილოცმოლოცვა; ჰხედავთ, რამდენი რამე შემემატებოდა და გამახარებდა... მაგრამ ჩემი ბრალიც არის, რომ ასე უკან ჩამოვრჩი დანარჩენებსა. მე ვამზადებ და ვამზადებ ერთს პროექტს და ბოლო კი ვერ მოვუღე; ის პროექტი რომ გამოქვეყნდეს, მაშინ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს...

— ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ სააღდგომოდ გამოგექვეყნებინათ. ვინ იცის, რა სიხარულს მოჰფენდა ჩვენს ხალხსა; ქრისტეს აღზდგის დღე, მოგეხსენებათ, რა სასიხარულოა ხალხისათვისა; დიდად შეწუხებულსაც კი ტუჩზე ღიმი უქრის და პირზედ აკერია მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვები: „ქრისტე აღზდგა!“ ვინ იცის,—ჩავუკარ ჩემს მესაუბრეს თვალი,—იქნება თქვენმა პროექტმა უფრო დიდად გაგვეხარო!?.. მე ერთი შესანიშნავი პროექტი ვიცი, მაგრამ დახე წუთის სოფლის მუხანათობასა, პროექტი პროექტადვე დარჩა. ოჰ, რა სამწუხაროა, ხელად არა მაქვს, რომ წაგეკითხნათ ის თხზულება, სადაც პროექტია მოყვანილი *). აი საქმე რაშია: ქურდების დაჭერა უძნელდება ხალხსა, მეტადრე შინაურის ქურდებისა, რომლებიც განსაკუთრებით შაქარსა გვპარავენ ყუთიდამ. ეს ძნელი საქმე, რომ იცოდეთ, რა ადვილად მოაგვარა ერთმა ვილაცამ, პროექტის ავტორმა: დაიჭირა თურმე ბუზი და ჩასვა შაქრის ყუთში; ერთიც ვნახოთ მიდის ქურდი მოსამსახურე იპარავს შაქარს; ის კი არ იცის იმ თვალ დამდგარმა, თუ რა მტერი ზის შიგა: ბუზი ამოფრინდა; ნახავს ბატონი, რომ ბუზი ამოფრენილა...

„—მოიცათ, მოიცათ, წამოხტა „ცხენის თავა“ და დამიჭირა ხელი, ახლა მე მათქმევინეთ, მე...

საცოდავს სული ყელში მოებჯინა ღელვითა, მაგრამ მეც გავუჯიუტდი და შევაყენე.

— მოითმინეთ, გავათავო. დიახ, ნახავს ბატონი, რომ ბუზი ამოფრენილა და დაუჭერს ქეჩოს თავის ქურდს ბიჭსა.

— „ყმაწვილო, ძმაო, მეგობარო!! ეგ ხომ მე ვიყავი, ეგ პროექტი ხომ ჩემია, ჩემი!—ღრიალებდა და სეტყვასავით ისროდა დიდრონის კბილებიდგან დორბლსა.

— შენა?! კაცო და, რას იმალავდი აქნამდის თავსა?!.. აჰ, სააღდგომოდ მაინც არის რომ მოგესწრო, ძაან დაავალებდი კაცობრიობასა; რამდენს ხორცსა გვტაცებენ კატები, ძაღლები, ბიჭებს ნულარ ვიანგარიშებთ.

— ჰო დააა!.. წელს იოლად წავიდეთ; მაინც აღდგომა ადრე მოდის და ჯერ ბუზიც არ იქნება; მერმის კი უსათუოდ გავათავებ.

ამ დროს ორთქლით-მატარებელი რკინის გზის სხვა სადგურს მიუახლოვდა და ჩაუსტვინა; წამოვიშალენით. საჩქაროდ გამოვეცალე ხელიდამ ახირებულს მობაასეს და გარედ გამოვარდი.

***

რკინის გზის სადგურის წინ ვრცელი მეიდანი სავსე იყო მუშებით, რომელთაც პურებით სავსე ხურჯინები ეკიდათ და მიემგზავრებოდნენ სამუშაოდ. მოაწყდნენ ვაგონების კარებს და საჩქაროდ დაიჭირეს ადგილები.

— საით, ბიჭებო, საით?—ჰკითხა ერთმა გლეხმა.

— სამუშაოდ მივემგზავრებით რკინის გზებზე... ამ სააღდგომოდ, ნათლი, პატარა თუ არა ვიშოვეთ-რა და ცოლ-შვილი არ გავახარეთ, არ იქნება,—დაიწყო ხანში შესულმა მუშა-გლეხმა. ჩემი უმცროსი ბიჭი გიგუცა უკან მამჩხაოდა: პაწია ჩუსტები მიყიდე და ერთი ცინცრის კვერცხიო, თორემაო... თორემა მამა უცხონდა იმ ჩემ ბიჭსა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას...

— მეც ბევრი რამე დამაბარეს შინიდამა, მაგრამ ერთს ჩუსტებს მაინც ვიყიდი, რო სულაც დაიხოცნენ აღდგომამდინა. პატარა ჭია-ფერი და ახალფერი იყიდეო, გადამეკიდა ჩემი რძალი; იმი მზემა, თუ ჭიაფერში შეღებილი კვერცხი არ გაფცქვნა, ენდროში შეღებილს კი ვერ გაჰფცქვნის და ვერ შესთქვლეფავს,—ჩაერია ლაპარაკში ახალგაზდა გლეხი-მუშა.

— შენ საით-ღა მიემგზავრები, ნათლი,—ჰკითხეს ხნიერს გლეხსა.

— ჯანდაბას და დოზანას! ნეტა მეც სამუშაოდ მივდიოდე... ეშმაკმა წაილოს ი ჩვენი მედუქნის თავი და ტა-

*) „მგზავრის წერილები“ ილ. ჭავჭავაძისა.

შიო. ვინც ამას გამოაცხადებს, ის წილის ყრაში აღარ მოჰყვება და კანონით დაწესებული ვადაც მიეცემა სწავლის შესასრულებლადა.

## ამბები სურამიდგან

ამ კვირაში თითქმის ყოველს დღეს ვკითხულობთ გაზეთს „ივერიაში" იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებაზედ; ვკითხულობთ, რომ გარდაცვალებული ყოფილა ნამდვილი შვილი მამულისა, კეთილი, საზოგადო საქმეების ერთგული კაცი, ხელობით დურგალი.

ხუთი წელია თითქმის, რაც განსვენებულის ერთი ლექსი ჩამივარდა შემთხვევით ხელში. იქნება არსად იყოს ეს ლექსი დაბეჭდილი და რომ არ დაიკარგოს, მომყავს აქა. აი ეს ლექსი:

გლეხის ოჯახი

ადე, ბიჭო, კარზედ გამო,
შეხედე, რა კარგი დღეა:
ცაზედ მზეა, ქვეყნად ნამი,
ბუჩქებშია ჭყვავის ია;
მერცხლებიცა ჭიკჭიკითა,
შეხე, ბუდეებსა ხსნიან,
შაშვი სტვენს, შოშია ჭვალობს—
გაზაფხულსა შეჭხარიან.
გუთნეული კარზედა დგას—
უნდა ვხნათ და ვთესოთ ქერი;
სოსო, გუთანს მეხრედ გაჰყე,
ფეფო, დაამზადე ჯერი.
მამა-ჩვენი ბეგარაზე
ქვიშას აყრის შარა გზებსა,
რომ ფეხი არ დაუსველდეს
გამვლელსა და გამომვლელსა.
დედა-ჩვენიც ვენახშია,
ბოსტანს მარგლის ოფლის ღვრითა;
ჩვენი მაროც წასვეული
იქვე უწევს მველის მჩვრითა.
წუხელი თქვენ დაგეძინათ,
დიდ ხანს ენთო დედას მკვარი,
ადგა და, როცა წვებოდა,
მან ილოცა მაცხოვარი.
„მაცხოვარო, შენ მიცოცხლე
ჩემი წვრილი ოთხი შვილი!
დაიხსენი განსაცდლისგან
სულეველა გაჭირებული;
მიე შრომას გამარჯვება,
მოგვიმართე მტერზედ ხელი!
შეისმინე ჩემი ლოცვა,
ამას გთხოვ და ამას ველი!"

—

ასე ეძახდა სვიმონა
თავის უმცროს ძმას და დასა;
თვით შირ-ჯვარი გადიწერა
და გაუდგა გუთნის გზასა.
წავიდა და გუთნის თავზედ
დასძახის ტკბილს „ოროველას".
გაუმარჯოს მშრომელს ხალხსა,
გაუმარჯოს მის მარჯვენას!

ი. დავითაშვილი

1882 წ. 8 ივნისი

—

წარსულს წლის დამლევს გწერდით, რომ სურამელები კლუბის დაარსების საქმეს შეუდგნენ, ნება-რთვა მთავრობისაგან მიიღეს და სახლიც უკვე დაიჭირეს-მეთქი.

კლუბის მოთავეებმა შეჰკრიბეს ორასსამას მანათამდის ფული და ამ ფულით ნებავდათ გაეწყოთ და გაემართათ კლუბი. სახლის იატაკის გადასაკეთებლად და კედლებზე ქაღალდის გასაკვრელად თორმეტ-თორმეტი თუმანი უკვე დახარჯეს. ამ ხარჯის შემდეგ ყველას ეგეგონა, რომ კლუბი სურამშიაც გვექნება, როგორც ჩვენს ზოგიერთს პატარა ქალაქებსა აქვთო. მაგრამ მოვტყუვდით, კლუბს ჩვენ ვერ ვეღირსენით. გავიგეთ, რომ შეკრებილი ფული, ხარჯს გარდა, უკანვე დაუბრუნებიათ ყველასათვის. აქ კი ყველგან ლაპარაკობდნენ, რომ კლუბის საქმეს ისეთმა კაცებმა მოჰკიდეს ხელი, რომ უთუოდ ბოლომდინ მიიყვანენო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, იმედი გაგვიცრუვდა.

—

«ივერიის» მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წრეულს თოვლი ზემო-ქართლსა და იმერეთში სრულიად მშრალს დედა-მიწაზე მოვიდა. თოვლი დაიწყო იანვრის ხუთიდგან და თითქმის ორი თთვე განუწყვეტლად ითოვდა. თუმცა ამ ორის თთვის განმავლობაში ზოგი დღეები თბილი, უთოვლო და მზიანი იყო,—თოვლი მაინც დიდი მოვიდა. დიდმა თოვლმა რკინის გზით მისვლა-მოსვლა სამჯერ-ოთხჯერ ხუთი-ექვსის დღით მოსპო. ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართებლობასა თოვლმა და ცუდმა ამინდებმა დიდი ზარალი მისცა.

წრევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა ჩვენ სოფლელებსაც სიკეთე არ დააყარა. მთელი ორი თთვე, იანვარსა და თებერვალში, სოფლად და ტყეებში გზები შეკრული იყო. საწყალი გლეხობა დიდმა თოვლმა და ცუდმა ამინდმა სახლებში მოამწყვდია და ტყის ხის ზიდვას ხელი შეუშალა. საზამთროდ შეშა აღარც გასასყიდად და აღარც შინ სახმარებლად არა ჰქონდათ გლეხებსა და ამიტომ დიდი გაჭირება გამოიარეს სიცივის გამო ფარღალალა სახლებში.

თუმცა წრეულს დიდი თოვლი იყო ჩვენკენ, როგორც ბარად, ისე მთებში, მაგრამ ბარის თოვლი ისე გაჰქრა და გადნა, რომ აქაურს პატარა მდინარეებს ადიდება და მომატება წყლისა არ მესტყოვია. ეს იმიტომ, რასაკვირველია, რომ თოვლის ქვეშ მიწა მშრალი იყო და თოვლის წყალი მიწამ ღრუბელივით შეისვა. მარტის ოცამდის დედა-მიწა ბარად სრულებით გაშრა; ჯეჯილები და მინდვრებიც ამწვანდა; თბილმა ჟუჟუნა წვიმამაც მოუხშირა და ჭვერიც მალზედ გათბა. ერთის სიტყვით, ჩვენკენაც გაზაფხულდა. ხალხი მინდვრად სამუშაოდ გამოვიდა; შინაურმა საქონელმაც, რომელიც კი ზამთრის ჭირს და სენს გადურჩა, მინდორ-მინდორ ხეტიალი იწყო. მზიანი და თბილი დღე იყო. აღმოსავლეთის ქარიც დინჯად ჰქროლავდა. თბილმა დღემ და ქარმა მთის თოვლი ქაფურივით გააქრო. ამ დღეს პატარა მდინარეები და ღელეები ადიდდნენ და ზოგან სახლი დაანგრიეს, ზოგან ღობეები წაიღეს და ზოგან კიდევ ხეები მოიტაცეს, რომელიც გლეხებს წყლისპირას დაემზადებინათ. წიფის ღელემ აქაურს გლეხს, ბანცაძეს, სახლი დაუნგრია და მოსტაცა; აქვე დაუნგრია ერთს გლეხს წისქვილი და სხ... აი წისქვილის დანგრევის დროს უბედურებაც მოხდა. ოთხშაბათს, ხარება დღეს, ფონაში მცხოვრებლებმა ნოზაძეებმა, რიცხვით შვიდმა კაცმა, სადილი ჭამეს თავიანთ ცოლ-შვილში. სადილის შემდეგ შვიდნივე წისქვილში წასულიყვნენ საფქვავით და ღამეს იქ დარჩენილიყვნენ. როდესაც შესულიყვნენ ეს უბედურები ღრმა ძილში—მიწის ზვავი წამოსულიყო, წისქვილს (ხის შენობაა) დასწოლოდა და დაენგრია. ერთი ახალგაზდა გაჟა-კაცი მოეკლა, ორისათვის ფეხები დაემტვრია და ოთხი კი გადარჩენილიყვნენ.

აი კიდევ გუშინ, პარასკევს, რა უბედურების მნახველი გვიყავით. სოფ. ხაშურში გუშინ სავანისხევას გაგზავნილი ეტლი დაბრუნდა ღამის ათ საათზე. ეტლი და ცხენები გასვრილ-გათუთხნილი იყო. ამიტომ მეეტლე მდინარე სურამულაში შევიდა ეტლის და ცხენების გასარეცხად. წყალში შესვლის უმალვე ცხენები დაფრთხნენ და ეტლი და კაცი ბოგირს ქვეშ შეათრიეს. მეეტლე როგორც იყო გადახტა ფაეტონიდგან და ბოგირის ბოძს შემოეხვია. მერე მოუშველა ხალხი და გადაარჩინეს ეს საწყალი დარჩობას. ორი ცხენი კი, რომელიც ათი თორმეტი თუმანი ღირდა, წყალში დაიღუპნენ. ცხენები ფოსტისა იყო.

ს. ღონღაძე

—

## გეოგრაფიული სახელები

### გეოგრაფიულის საზოგადოების კრება 31 მარტსა.

31 მარტს კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების კრებაზე ბ-ნმა დინგელშტეტმა წაიკითხა მოხსენება ჩვენის კავკასიის გეოგრაფიულ სახელებზე, ანუ ეგრედ-წოდებულ ონომატოლოგიაზე. გეოგრაფიისთვის ონომატოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის გამო სწავლულები ინგლისისა, გერმანიისა და რუსეთისა ცდილობდნენ მის შემუშავებას. ამ სწავლულებმა იპოვნეს კიდეც ზოგიერთი კანონები, რომლის შემწეობითაც შეიძლება ახალი სახელები შესდგეს. ბევრჯელ მდინარეს, ქალაქსა, მთასა, ანუ სხვა ამ გვარს გეოგრაფიულს ადგილსა რა...აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადე- აქვს საფ... ...უნდა მიჰმართონ: თვითონ გამო, რომელიც ა... ...ქაჩაზედ, სახბაა. ხან ამ გვარს სახელს ისტ...ში აქვს საფუძველი, ხან ბუნების რომელსამე მოვლენაში და სხვა და სხვა. პირველად უსლარმა დაიწყო შესწავლა ჩვენის კავკასიის გეოგრაფიულის სახელებისა და ბევრსაც ეცადა აეხსნა მათი მნიშვნელობა. ბევრჯელ გეოგრაფიული სახელები დაუწერიათ იმ გვარ მგზავრებს ანუ უცხო ქვეყნიდგან მოსულ კაცთ, რომელთაც კავკასიის ტომების ენა სრულიად არც-კი სცოდნიათ და ამიტომ სახელები მთლად დაუმახინჯებიათ, თითქმის ისე, რომ კაცი ველარას გაიგებს; მაგალითად, არაქსის მდინარესთვის ათ სახელზედ მეტი დაურქმევიათ სხვა-და-სხვა უცხო მოგზაურთა. ძრიელ საჭიროა შევადგინოთ ყველასათვის გასაგები სახელები რუკაში დასანიშნავადაო, სთქვა ბ-ნმა დინგელშტეტმა. მაგრამ ამ აზრის შესასრულებლად წინაპირველად უნდა სწორედ, უშეცდომოდ დაიწეროს ყოველიევე გეოგრაფიული სახელი, ისე, როგორც ხალხშია გავრცელებული. შემდეგ ბ-ნმა რეფერენტმა განაგრძო, რომ ერთი დიდი ნაკლებულობა აქაურის გეოგრაფიულის სახელებისა ის არის, რომ სახელების ბოლოს ემატება სიტყვები: წყალი, წყარო, ბულაყი, ჩაი, რუ და სხვა. მაგალითად: ცხენის-წყალი, არფა-ჩაი და სხვა. ამ გვარი მომატება, ბ-ნის დინგელშტეტის აზრით, სულ უბრალო ბარგი-ბარხანაა და ამიტომ ამ გვარი დამატება რუსულად უნდა გადაითარგმნოსო.

რასაკვირველია, კარგი საქმე არის გეოგრაფიულის სახელების შემუშავება და შესწორება, მაგრამ ბ-ნს დინგელშტეტს დაავიწყდა, რომ გეოგრაფიულს სახელებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მკვიდრთათვის და არა რუკასთვის და იმ ორიოდე მგზავრს კაცისათვის, რომელნიც რუკის საშუალებით მოგზაურობენ ხოლმე. როდესაც კავკასიურს დასაწყისს რუსულს

---

ნი. ჩემ მეზობელს ფული ჰმართებია ჩვენებური მედუქნისა; პრიჭტავი მოუყვანია და თავის მოვალის მამული რო სცოტავებია, ჩემი ვენახიც დაუტავინებია. აუწერიათ და ახლა კიდეც გამიყიდეს.

— გაგიყიდეს, გაგიყიდეს! ეეჰ! ერალა კანონი ყოფილა მაგითანა ულმერთოი. მერე?

— ბიჭო, შეილო, ე მამული ჩემია, ი ღმერთმა ხომ იცის-მეთქი; ღმერთიმეთქი, რჯული, სალავათი, რომ ჩემია-მეთქი, მაგრამ ვინ გაგიგონა... თუ შენიაო, წადი და დაამტკიცეო; ჩემი მამული რო ჩემია, რაღა ეშმაკებით და ქაჯებით დაგიმტკიცოთ-მეთქი... ლამის შეილის დარი მამული კი ხელიდამ წამივიდეს... მაინც წასული არ არი, მა როგორი-ღა უნდა.

— და მაგ საქმეს ვერა დაუგვარერა,—ჩაერია ლაპარაკში მკვირცხლი იმერელი. მალე მტერი მოუკვდეს საჩინოს, მალე მე მაგას მოვაკვარაჭინებდი: განგებ მოვახერხებდი, ვუჩივლებდი ვისმეს და იმ მედუქნეს სულ ერთიან ავუწერდი, რაც რამ სულს აქედ ებადა და ერთი-ორად გადავაშვლეპდი.

— ე, შე კურთხეულის შეილო, ვისა აქვს მაგდენი დავი-დარაბის თავი. ე ჩემი დამიბრუნონ და თავიანთი ღმერთმა მოახმაროთ, როგორც თავის დედის ძუძუი.

— ჰო-და ეგრე რო დოყლაპიაობთ კიდეც მიტომ არი, აქაურები.

— რა კანონი ყოფილა ეგა, რო მაგითანა უსამართლობის ნებას აძლევს; როგორღაც აგრე არ უნდა იყოს, ნათლი, საქმე, არა?

— მა რავა უნდა იყოს, წარმოსთქვა ცქვიტად საჩინო იმერელმა: გინდა ალმა უზამ თავს კანონსა, გინდა დალმა; ერთი კარიდამ შეხვალ და მეორე კარიდამ გახვალ.

— მაშ სულ კარი ღია ყოფილა, იხუმრა ერთმა გლეხმა.

საჩინო იმერელმა ამერელი, გულდამწვარი ქართველი ჩააფიქრა, დაალონა და დაეტყო, რომ ჭკუაში დაუჯდა საჩინოს რჩევა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა.

— ჩავალ ქალაქში, ერთი მადლიანი კაცი ვიცი, დაევეკითხები და როგორც მირჩევს, ისე მოვიქცევი... ვნახოთ და!..

***

— მართალია, რკინის გზა სახელმწიფოს ხელში გადადის, კნიაზ დავით?—იკითხა ერთმა მანდილოსანმა.

კნიაზი დავითი კიტრივით გორავდა, ხვნეშოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აბოლებდა პაპიროზსა.

— გადავაო, მაგრამ ჯერ რკინის გზის კამპანიას არ აუნაზღაურებია თავისი დანახარჯიო; როცა აინაზღაურებს, მაშინ დაუთმობსო; რვა ათასი თუმანი აქვს ვალიო.

— ქართველის კამპანიისაა, კნიაზ დავით, ეს რკინის გზა?—იკითხა მანდილოსანმა.

— ხე, ხე, ხე!! უჰუ! კნეინა ნინო ეგ რა მიბრძანეთ! ხე, ხე, ხე! აუვარდა სიცილი კნიაზს დავითს ისეთს ნაირად, რომ ხითხით-თახთახით მუცელი ეიკაპთანა ჰქონდა. ქართველებს ერთი სკოლა გვაქვს, ის ვერ შეგვინახავს და რკინის გზების გაძღოლის თავი ვისა აქვს.

— არა, ი ვალი რომ ბრძანეთ, იმიტომ მოგახსენეთ, ქართველების კამპანიისა ხომ არ არის მეთქი.

— ქართველებისა რომ ყოფილიყო, იმიტომ დაედებოდა ვალი, ჰო? მერე ქართველი ხომ აგრე ცოტას არ იკადრებდა.

— საიდამ მობძანდებით?

— მე, ჩემო ბატონო, ქუთაისიდამ გიახლებით... ოჰო-ჰო! ჩვენ ხომ ვართ და ვართ, მაგრამ კორტოხტს იქით ქართველები ღმერთმა შეინახოს...

საჩინო იმერელმა ყურები აცქვიტა, ფეხ-აკრეფით მოადგა უკანიდამ დავითის სკამსა და ყური წაუგდო.

— ვისაც შეჰხედები, სულ „დანოსებზე" გელაპარაკება. შეილი მამას არ ინდობს, მამა—შეილსა; ძმა—დასა, და—ძმასა. ერთი უცნაური ამბავი მითხრეს: ერთმა ახალგაზდა აზნაურმა, თუ... სხვამაო... არა, მგონი... ღმერთო, მომაგონე!. ჰო, ვინც უნდა იყოს: ერთმა რიგიანმა კაცმა რომ ველარავინ იპოვნა, თავის თავზე შეიტანა „დანოსიო". როგორ შეგიძლიან ხმა მაღლა, ორ სამ კაცთან რამე კეთილ საქმეზე ილაპარაკოვო, მაშინვე ტრახხ!—ჩაქუჩივით ჩაგკრენ თავში „დანოსსაო". მწ! წახდა და წაიბილწა ქვეყანა; ადამიანების ნაცვლად ქაჯები მოესხა ამ ჩვენს ქვეყანასა.

— ნუ გამიწყრებით, „ვაში სიატელსტვო" ბატონო, დაიწყო საჩინო იმერელმა და უნდა გაგიბედოთ, რომე დანოსი ძიელ კაი რამეა, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს; ცუდ-კაცობას რითი მოუვლი, თუ „დანოსით" არა. აწი, რაკი ე. «დონოსია», ბატონო, „ხოდში", იმე და რავა ჩაიდენს ადამიანის ძე ცუდობას, რავა!!—კოწიაწობდა და ცხარობდა იმერელი საჩინო.

— ნარა, ჩემო კორტოხელო, იმ თქვენის «დანოსისა» არც შარი მინდა, არც ხეირი,—სთქვა კნიაზ დავითმა და წამოავლო ხელი ბოხჩას.

***

ტფილისში ჩამოვედით. ესეც შენი ქალაქი, ესეც შენი ტფილისი, გაიძახოდნენ მგზავრები.

ღმერთო, რას არ ნახავ ამ „ტფილისის ქალაქშიდ"? ვის არ ნახავ? რა მილეთის ხალხია, რა ფორმისა, რა მოდნისა!! სწორედ ბაბილონთა ენათა შერევნაა ამ ტფილისში. ვნახოთ, მოდის ერთი ვიღაც უშნოდ აწოწვილი, ერთი რაღაც ახმახი, მოდის და რა მოდის, თითქო ქვეყანა ამას დარჩენიაო; მოდის ასე ამაყად, თითქო ევროპის მეცნიერება ამას ჩაუყლაპნიაო; გაბერილა, გაბერილა, „როგორც მელქოს მუცელი", აგერ სხვა ჯურის კაცი—მოდის გრეხით, ქმაჭენით, სტვენით, თითქოს გეუბნებათ, „ნახეთ რა ბიჭი ვარ, რამოდენა ჭკუაა ჩემს თავშიო". იქნება, ბიძია, ბევრი ჭკუაცა გაქვს, მაგრამ, შექსპირის ერთის ხუმარასი არ იყოს, ისე გაქვს, როგორც ტალში ცეცხლი. მინამ არ დააკვესებ, ცეცხლს არ გამოსცემს.

აგერ მოდის ვიღაც ქშენით, ბაჯბაჯით; ლანძილ-ჯონჯოლ-ხახვით შეზავებული სუნი ამოსთქეშს პირიდამ. ლანძილ-ქამია სწორედ რუმბიდამ ამომძვრალა. ეს კი სულ დარვინის ბრალია: აქაო და რაღაც ოხერი ბუნების კანონი ვიპოვეო, ქვეყანა გადარია; საკმაო მყლაპავები არა გვყავდა, რომ ახლა რუმბებიდამაც არ ამომძვრალიყვნენ!?—ეს კიდევ-ჰო! მაგრამ ამას ვიღა მოიფიქრებდა, თუ ტფილისში ჰოი „კვიცოს პოეზიაც" დაიბადებოდა. რა ოხერია წუთი-სოფელი, ზოგს აამაღლებს, სახელს მოაპოვებინებს ნიჭით, ზოგს უნიჭობითაც.

დიაღ!

„ეს ჩვენი დედა-ქალაქი
რა რიგად გამოცვლილა
დარბაისლების ნაცვლად
კინტოებით ავსილა.

ს. გუმცაძე

ბოლოს მოუმატებთ, მაშინ, რასაკვირველია, ადგილობრივი მკვიდრი ვერას გაიგებს და სულ ტყუილი იქნება ამ გვარი ცვლილება. ბოლოს ბ-ა პოგოსსკიმ წაიკითხა მოხსენება თავის მგზავრობაზე ჩრდილოეთ აფრიკაში. ლექტორმა ბევრი ილაპარაკა თავის მოგზაურობაზე, ბევრი ამბებიც მოგვითხრო, მაგრამ სამწუხაროდ მისი მოთხრობა არ იყო წესზე დალაგებული და არც ახალის ამბებით იყო მდიდარი. ჩვენ გვგონია, რომ ვისაც-კი წაუკითხავს ლივინგსტონისა ანუ სხვა ამ გვარის მოგზაურის თხზულებანი, ყოველ ამ ამბებს კარგად ამოიკითხავდა იქიდამაც და ამიტომ სრულიად არა ღირდა მარტო იმ ფაქტებისათვის, რომელიც ჩვენ მოგვითხრეს, ჩრდილოეთ აფრიკაში წასვლა და დიდის გაჭირების ატანა გზაში.

# უცხოეთი

ბოლგარია. ვენის გაზეთი „Presse" ამბობს, რომ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას ნება აღარ უნდა მიეცეს კიდევ სამის წლით ქვეყნის მმართვისა, რადგან ამით გამწვავებულს ბოლგარიის საქმეს არა ეშველება-რა, ამ საქმის ერთად-ერთი წამალი მთავრის ამორჩევაა და ამიტომ ყოველიგე ღონე უნდა ვიღონოთ და რამდენადაც კი შეიძლება, ვეცადოთ, რომ ჩქარა იქმნეს ამორჩეული ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის მთავარიო.

— სტოილოვს გამოუცხადებია, რომ კარგი იქნება ბოლგარიას თავისი წარმომადგენელნი ჰყვანდეს ვენასა და ბერლინშიო. სარეგენტო მთავრობა მალიან მადლიერია ავსტრი-ვენგრიისა იმის გამო, რომ სტოილოვს კარგად დაჰხვედრიან ვენაშიო.

— დიდ-ძალი მილოცვის წერილები მისვლია პრინცს ალექსანდრე ბატენბერგს თავის დაბადების დღეს მთელის ბოლგარიიდგან. პრინცს სოფიაში ბოლგარიის სარეგენტო მთავრობისა და სამინისტროსათვის პასუხი მოუწერია მისალოცავ წერილებისა და სხვათა შორის გამოუცხადებია, რომ მე სულითა და გულით ყოველთვის ბოლგარიაში ვიყავ, ვარ და ვიქმნებიო. პრინცის ალექსანდრე ბატენბერგის დაბადების დღეს სარეგენტო მთავრობის ბრძანებით ჯარის-კაცთათვის ჯერზედ მეტი ულუფის ფული დაურიგებიათ.

— ბოლგარიის სამთავრო ტახტს კიდევ ახალი კანდიდატი გამოსჩენია. ბუქარესტიდგან აუწყებენ გაზ. „Моск. Вѣд."-ის, რომ აქ მოვიდა თავადი გიორგი სტირბეი და განზრახვა აქვს თავის კანდიდატობა გამოაცხადოს ბოლგარიის სამთავრო ტახტისაო; სტირბეის დიდად შემწეობს და სარჩლს უწევს ავსტრი-ვენგრიაო.

ირლანდია. ინგლისის პალატას კრება ჰქონია 21 მარტს და კამათობა გამართულა ირლანდიის ძალ-დასატანებელ კანონ-პროექტზედ. პარნელს უთქვამს, რომ გამოძიებულ უნდა იქმნეს საერთო მდგომარეობა ირლანდიისაო. პარნელი წინააღმდეგი იყო ძალ-დამატანებელის კანონ-პროექტისა და დიდი სიტყვა წარმოსთქვა თურმე ამის გამო. პარნელის სიტყვა დიდის ტაშის ცემით მოუსმენიათ სამინისტროს დასსაც და მოწინააღმდეგეთაც. როცა პარნელს თავისი სიტყვა გაუთავებია და დაუსკვნია, გლადსტონსაც ტაში დაუკრავს. ამის შემდეგ კიდევ რამდენსამე სხვას წარმოუთქვამს სიტყვა და დასასრულ თომაზ ო'კონნერს გამოუცხადებია, რომ კრება მეორე კვირისათვის გადავდოთო, მაგრამ პალატას 361 ხმით 254 წინააღმდეგ უარ-უყვია ო'კონნერის წინადადება. ამის შემდეგ პრეზიდენტს პალატისას უთქვამს, რომ კამათობას თავი დავანებოთ და ხმის უმეტესობით გარდავწყვიტოთ ირლანდიის ძალ-დასატანებელი კანონ-პროექტის საქმეო. მოწინააღმდეგე დასს ამაზედ დიდი უარი უთქვამს და გამოუცხადებია, რომ თქვენ გინდათ ხელ-ფეხი შეგვიკრათო. პარნელის მომხრეთ დაუწყვიათ ყვირილი: „ვიდრე ცოცხლები ვართ და პირში სული გვიდგა, მანამდე ვიბრძოლებთ და დავიცავთ ჩვენს უფლებასაო". ერთს წამოუძახნია: „პრეზიდენტი ჩამოაგდეთ, გააძევეთო!" ბევრნი წევრნი ირლანდიის დასისანი მოჰხვევიან და დაუკოცნიათ გლადსტონი? ამის შემდეგ ხელ-მეორედ დაუწყვიათ ლაპარაკი იმაზედ, რომ კრება გადაიდოს მეორე კვირისათვისაო და 361 ხმით წინააღმდეგ 253-ისა გადაუდვიათ კრება. ხმის მოკრეფის შემდეგ გლადსტონი, ჯონ მორლეი, სერ ვილიამ გარკორტი, პარნელი და ყველა ამათი მომხრენი და მეგობრები გამოსულან პალატიდგან. რაკი ისინი წასულან, პალატას კიდევ დაუწყვია ლაპარაკი ძალ-დასატანებელ კანონ-პროექტზედ ირლანდიაში და პირველისავე წაკითხვით მიუღია კანონ-პროექტი უცვლელად.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ანგარიშებსა წარსულს თთვეებში საქველ მოქმედოდ გამართულის საღამოებისას და გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

წარსულს თთვეებში თელავში გაიმართა სულ სამი საღამო (ბალი): ერთი წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ, მეორე—საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ და მესამეც—თელავის საპატიმროში დამწყვდეულ ტუსაღთა სასარგებლოდ.

პირველ საღამოდამ, ე. ი. წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულის საღამოდამ შემოვიდა სულ 392 მანეთი. ამ ფულიდამ დაიხარჯა 126 მანეთი და დანარჩენი 266 მანეთი წმინდა შემოსავალი გარდაეცა ზემოხსენებულს სასწავლებელს.

მეორე საღამოდამ, ე. ი. საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულის საღამოდამ შემოვიდა სულ 216 მანეთი, რომლიდამაც დაიხარჯა 116 მანეთი და დანარჩენი 100 მანეთი წმინდა შემოსავალი გაეგზავნა ამ საზოგადოების მმართველობას.

მესამე საღამოდამ, ე. ი. თელავის საპატიმროში მყოფ ტუსაღთა სასარგებლოდ გამართულის საღამოდამ შემოვიდა სულ 209 მანეთი; ამ ფულიდამ დაიხარჯა 106 მანეთი და დანარჩენი 103 მანეთი წმინდა შემოსავალი გარდაეცა, სადაც ჯერ იყო. ამას გარდა 14 იანვარს შემოვიდა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ წევრთაგან 200 მანეთი საწევრო ფული. ხუთი თუმანი თ. ზ. ჩოლაყაშვილისაგან და დანარჩენი თხუთმეტი სხვა წევრთაგან.

მოთავედ ყველა ზემოხსენებულის საღამოებისა იყო თელავის მაზრის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილი, რომლისათვისაც იგი დიდად და დიდად მადლობის ღირსია. აგრეთვე ღირსნი არიან მადლობისა კნ. ა. ჩოლაყაშვილისა, კნ. ბ. ვახვახიშვილისა და სხვანი.

სამსავე საღამოზედ მოწვეული იყო ყვარელის მილიციის სამხედრო მუსიკა, რომელმაც დიდი ხელოვნება გამოიჩინა ამ ახალს საქმეში. დიდის მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ბ-ნი ერისთავი და მისა „კაპელმეისტერი" სვობოდა, რომ ასე მცირე ხანში (სულ 6—7 თთვეა) ამ უბრალო გლეხებისაგან ასეთი დახელოვნებულნი მემუსიკენი გამოიყვანეს.

რ.

# გასართობი

ხულ რამდენი კაცი დაბადებულა ქვეყნის გაჩენიდამ? ერთს მეცნიერს გამოუძიებია და ამტკიცებს, რომ დღევანდლამდე სულ 46,627,843,275,075,845 კაცს უცხოვრია დედა-მიწის ზურგზედ. ეს რიცხვი რომ დედა-მიწის სივრცეს შევადაროთ, გამოვა, რომ ყოველ ნახევარს ადლს მიწაზედ ხუთს კაცს უცხოვრია. მაშასადამე, ყოველ საფლავში 128 კაცი დაუმარხავთ, 128-ჯერ მოუთხრიათ და გადუთხრიათ ერთი და იგივე საფლავი.

**

ახირებული მიზეზი თავის მკვლელობისა. რვა მარტიდგან საფრანგეთის ქალაქ შატოლენში ელექტრონული სინათლე შემოუღიათ და ელექტრონით გაუნათებიათ თურმე მთელის ქალაქის ქუჩები. ეს შემოღება შატოლენის მკვიდრთ დიდის ამბით გადაუხდიათ და უდღესასწაულნიათ. ამ დღეს რემანის ქუჩაზედ ერთს სახლში დამბაჩა უსროლია ვიღასაც. ხალხი შეცვივნულა ამ სახლში და უნახავთ, რომ ახალგაზრდა ქალს ქ-ნს ანდრეს თავის სახლში თავის მოკვლა სდომებია და დამბაჩა უსროლია. როცა გულ-წასული დაჭრილი გონზედ მოუყვანიათ, ანდრეს მისუსტებულის ხმით უთქვამს: „ჩვენს შატოლენში სამუდამოდ იქმნა შემოღებული ქუჩებისა და ქალაქის ელექტრონის სინათლით განათება; მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ელექტრონის სინათლე ფერს მიკარგავს, მაფითრებს და ყვითელს ფერს აძლევს ჩემს სახეს. მე ამ უბედურებას ვერ ავიტანდი, გულის ძგერით უნდა მელოდნა ყოველ საღამოსათვის, ქუჩაში ვეღარ უნდა გამომედგა ფეხი იმის გამო, რომ ყვითელი ფერი მედება და გაფითრებული სახე მექმნება-მეთქი და ამიტომ სიკვდილი გირჩიე სიცოცხლესაო." თავის მოკვლის წინა დღეს საბრალო ქალს უთხოვნია თავის მშობლებისათვის, რომ თუ გინიცობაა მოვკვდე, სასაფლაოს ყველაზედ ბნელს კუთხეში დამმარხეთ, ისეთს ადგილას, სადაც ელექტრონის სინათლემ არ მოაღწიოსო.

# დეპეშა

1-ს აპრილს.

პეტერბურგი. ნევაზედ ყინული გადნა და ლადოღის ტბიდამაც დაიძრა ყინული.

გაზეთები იუწყებიან: გარდა იმისა რომ ღერბის გადასახადს და სიგელების (актовая) ქაღალდს ფასი მოემატება—პროექტი მზადდება, რომ ვექსილის ქაღალდსაც ფასი მოემატოს და აზრადა აქვს ეს ახალი კანონი მოქმედებაში შევიდეს ამ აწინდელის წლის 1-ს ივლისიდამ.

## საკალენდარო ცნობანი

აპრილი 30 დღით არის.

2 დღე ხუთშაბათი. დიდი ხუთშაბათი. საიდუმლო წმ. სერობა. ღირსისა ტიტე საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. ხსენება ფერხთა ბანვისა. სომეხ. საიდუმლო წმ. სერობა. ხსენება ფერხთა ბანვისა. ერეკლე ბატონიშვილი (თეიმურაზის მეფობის დროს) 4 ხანთან ერთად და 14,000 ქართველებითა და ავლანელებით მტკვრის ნაპირას შეებრძოლა შეკინის ხანს აჯიჩელების. ხანებმა და ავლანელებმა უღალატეს ერეკლეს, დამარცხდა, 1,000-მდე ქართველი დაატყვევეს და თვით ერეკლე-კი გაიქცა და თავი გადაირჩინა, 1752 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40.

3 დღე პარასკევი. ვნება, ჯვარ-ცმა და დაფლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ღირსის ნიკიტა აღმსაარებელისა. კათოლ. რიშარდისა და პლატონისა. სომეხ. ვნება, ჯვარ-ცმა და დაფლვა იესო ქრისტესი. მუსულ მე-22 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მთვარე 23 დღისაა.

4 დღე შაბათი. წინა-დღესასწაული. კვირაძალი აღდგომისა. ღირსისა იოსებ მგალობელისა; გიორგისა და პლატონისა. კათოლ. კვირაძალი აღდგომისა. სომეხ. კვირაძალი აღდგომისა და ნავაკატიკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—42.

## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, თავის გარდაწყვეტილების თანხმად, თავისავე სამმართველოში დანიშნა საჯაროდ გასასყიდად ბალდასარ სოლომონის-ძის ბეზირგანიშვილის მეოთხედი წილი ყველა იმ მამულებისა, რომელიც ახალციხის მცხოვრებთ ქაჩხოევებისა და ალექსანდრე ბეზირგანიშვილის მემკვიდრეთ გან-უყოფელს მფლობელობაშია. ეს მამულები იმყოფება სოფელ ზურზელს, გობიეთსა და ქორეთის ტრიალ მინდორთ შორის, ახალციხის მაზრაში. ამ მამულებ შორის არის: 1) სოფელი ზურზალი, რომელშიაც 32 კომლი სახელმწიფო გლეხ-კაცია. ეს მამული ასეა განაწილებული: ა) 557 დესეტინა 1878 ოთხ-კუთხი საჟენი სახნავი მიწა უჭირავთ გლეხებს, 158 დეს. 2398 ოთხ-კუთ. საჟენი სათიბებადა აქეთ; ბ) 18 დესიატინა 1500 ოთხ-კუთ. საჟენი უჭირავთ სხვა-და-სხვა კერძო პირებს; გ) საქონლის გასარეკადა და საზაფხულო საძოვრებად 200 დესეტინა. ყველა ეს ზემოხსენებული მამულები, შემოსავლის დაგვარად დაფასებულია 6,040 მანათად, ხოლო მეოთხედი იმათი დაფასებულია 1,510 მანათად. 2) სახლ-კარის ადგილებად არის 1582 ოთხ-კუთხი საჟენი. ამ მამულს შემოსავალი არა მოაქვს-რა და ამიტომ დაფასებულია 30 მანათად, ხოლო მეოთხედი 7 მანათად და 5 კაპეიკად. 3) სოფელი გობიეთი, რომელშიაც 13 კომლი სახელმწიფო გლეხ-კაცი მოსახლეობს. ამ სოფელში გლეხებს უჭირავთ 176 დეს. და 157 ოთხ-კუთ. საჟ. მიწა სახნავად და 31 დეს. 1681 ოთხ-კუთ. საჟ. სათიბად. კერძო პირთ უჭირავთ 11 დეს. 1611 ოთხ-კუთ. საჟ. ამას გარდა გლეხები ხმარობენ ბაღად და ბოსტნებად 8 დეს. 304 ოთხ-კუთხ. საჟ. საძოვრად დაახლოვებით 50 დეს. და ტყედ—50 დეს. ეს მამული დაფასებულია 1,810 მანათად, ხოლო მეოთხედი—452 მანათადა და 50 კ. სოფ. გობიეთს ახლო არის ორი ნაჭერი მიწა სასახლ-კაროდ და საწისქვილედ 1,046 ოთხ-კუთ. საჟ. დაფასებულია ორი ნაჭერი მიწა 10 მანათად, საწისქვილე—15 მან. სულ ერთად 25 მან. 4) ტრიალი მინდორი ქორეთისა, რომელიც მემამულეთა სრულს მფლობელობაშია; ამ მინდორში 12 დეს. სახნავი მიწაა, 20 დესეტ. სათიბია და 150 საძოვარი. ეს მამული დაფასებულია 2,000 მანათად, ხოლო მეოთხედი მისა 500 მან. ყველა ამ მამულების მეოთხედები გაისყიდება იმ სახელმწიფო ვალის შესავსებლად, რომელიც ჰმართებს სოლომონ ბეზირგანაშვილის. ეს ვალი არის 2,428 მან. $40\frac{1}{2}$ კაპ. ამ მამულების მეოთხედების გასყიდვის ვადად დანიშნულია ამ 1887 წლის 7 მაისს, დილის 11 საათზე. ვაჭრობის განმეორება სამის დღის უკან იქნება.

ამიტომ ვისაც ჰსურს, შეიძინოს ნასყიდობით მეოთხედები ზემოხსენებულის მამულებისა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დროზედ საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (присутствіе), სადაც შეუძლიანთ ჰნახონ დაწვრილებით აღწერა ამ მამულებისა და მათის გასყიდვის შესახები ყოველგვარი ქაღალდები. (3—2)

## კერძო განცხადებანი

პატივი მაქვს ვაუწყო ტფილისის საზოგადოებას, რომ აღდგომის მეორე დღიდამ ლუდის სასმელს, როტონდაში „ტრამვაი", რომელიც ეკუთვნის აზნაურს ნ. პ. ლორთქიფანიძეს, დაიწყობა საზაფხულო სეზონი საერო გართობისა და დროსგატარებისა. როტონდაში ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ საღამოს 11 საათამდე სრული ხორო (38 კაცი) სამხედრო მუსიკისა კაპელმეისტერის ბ-ნ გლავაჩის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტებს და დაუკრავს აწინდელს საუკეთესო პიესებს.

როტონდაში უფასოდ არის შესვლა

როგორც როტონდა, ისე ბაქანი ერთი-ორად არის ეხლა გადიდებული. აქ განსაკუთრებულ კონცერტების და საერო სეირნობის დროს გამართული იქნება ცალკე ადგილები მხოლოდ განათლებულის საზოგადოებისათვის მცირე ფასად. ლუდის საწყობი ათჯერ მეტად არის გადიდებული, ვიდრე შარშან იყო და ამ ჟამად ზაფხულისათვის დამზადებულია დიდ-ძალი ლუდი მშვენიერის თვისებისა, როგორც ბავარიისა, ისეც შავი ლუდი. ვინც ლუდის შეტყობა იცის და მოყვარულია ამ სასმელისა, ვსთხოვთ მობრძანდეს, უფასოდ მიირთვას და გასინჯოს ჰაშნიკი. აღდგომის მესამე კვირიდამ ოთხშაბათობით გაიმართება ხოლმე განსაკუთრებული გასართობი და შესაქცევარი ჯამბაზებითა, შუშხუნებით, ჰაეროსტატებით და სხვა-და-სხვა გვარის სალხინო სანახავებითა. ყველა ეს გაიმართება ცალკე პროგრამითა და გამოცხადდება თავ-თავის დროზე, როგორც აფიშებში, ისე ყველა აქაურს გაზეთებში. როტონდაში ყოველთვის არის ცივი საჭმელები და დასანაყრებელი სანოვაგე, აგრეთვე გასაგრილებელნი შუშხუნა წყლები, ხმელი ხილი, ტკბილი შაქრის პურები და პაპიროსები.

როტონდის გამგებელი
ი. ბაქრაძე

(3—1)

# ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა.

მაქვს პატივი ვაცნობო ტფილისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში ახლად მივიღე ვენიდგან მრავლად საზაფხულო მზადშეკერილი ტანისამოსი, როგორც კაცებისათვის, ისე ყმაწვილებისათვის, უკანასკნელის ფასონებისა; გარდა ამისა მაქვს კიდევ ტანისამოსი მოსკოვისა და ვარშავის წარჩინებულის ფაბრიკანტებისაგან. ფასები ყოველთათვის ხელ-მისაწდომია.

გ. ხუდაგვერდიანც

(8—5)

!!! მომავალის დღესასწაულებისათვის !!!

კახეთის ნამდვილი და საუკეთესო ღვინოები ისყიდება ნარდად და წვრილად დაკლებულის ფასებით: თუნგი 70 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ბოთლი 15 კაპეიკიდამ 1 მანეთამდე. სარდაფები იმყოფება შუა-ბაზრის თავში: 1) სამკურნალოს ქვეშ და 2) თავადის არღუთინსკის სახლებში.

(1—1)

სოლომონ კურდღელოვი

Дозв. ценз. Тиф. 1 апрѣля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე